CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

2022
ANNUAL REPORT
წლის შეჯამება

CONTENT/საჩრჩევი

INTRODUCTION
შესავალი 02

EDUCATIONAL ACTIVITIES
საგანმანათლებლო საქმიანობა 04

FARM
ფერმა 28

CHEESE DAIRY
ყველის წარმოება 32

PARTNERS
პარტნიორები 34

MEDIA PRESENCE
მედია 36

FUTURE PLANS
სამომავლო გეგმები 38

INTRODUCTION

2022 was the first fully operational year for our school. With a tremendous support of Gebert Ruf Stiftung we were able to start all three main directions of SASC, i.e. education, primary production and dairy processing, simultaniously. The year was full of achievements and challenges. Several new donors and partners joined the project during the year. In total 300 beneficiaries received educational or consultancy services from SASC

შესავალი

2022 წელი ჩვენი კოლეჯის სრული დატვირთვით მუშაობის პირველი წელია. Gebert Ruf Stiftung - ის ფინანსური მხარდაჭერით არსებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ფაქტიურად დასრულდა და ორგანიზაციის სამივე სეგმენტი – საგანმანათლებლო, პირველადი წარმოება და გადამუშავება ერთდროულად ფუნქციონირებს. ეს წელი სავსე იყო მიღწევებითა და გამოწვევებით, ჩვენს ამბიციურ პროექტს რამდენიმე ახალი დონორი და პარტნიორი შემოუერთდა და საერთო ჯამში 300-ზე მეტმა ბენეფიციარმა მიიღო საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურება.

EDUCATIONAL ACTIVITIES

VOCATIONAL EDUCATIONAL PROGRAMS

STUDENTS

SASC educates 17 students in two vocational educational programs – farmer and dairy processing. 7 of them were enrolled in November 2021, and 10 in November 2022. The program duration is two years. During this period the students are able to study both theoretical and practical aspects of their professions. The weeks are divided equally between theory and praxis. The tuition fees of students was covered through support by Bärbel und Paul Geissbühler Stiftung as well as by "Verein zur Förderung der Swiss Agricultural Schools Caucasus in Georgien"

საგანმანათლებლო საქმიანობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

სტუდენტები

ამჟამად, შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიაში 17 სტუდენტი სწავლობს ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ფერმერი და რძის პროდუქტების წარმოება. მათგან 7 სტუდენტი 2021 წელს ჩაირიცხა, ხოლო 10 - 2022 წელს. პროგრამის ხანგრძლივობა ორივე პროგრამაზე ორი წელია. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტებს შეუძლიათ სრულად შეისწავლონ თავიანთი პროფესიის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხარე. ყოველი კვირა თანაბრადაა განაწილებული თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს შორის. სასწავლო პროგრამის ხარჯების დაფარვა კერძო შვეიცარიული ფონდების Bärbel und Paul Geissbühler Stiftung და"Verein zur Förderung der Swiss Agricultural Schools Caucasus in Georgien" მხარდაჭერით განხორციელდა.

შიდა ქართლი
ალექსანდრე მჭედლიძე, 24

ხევსურეთი
თათია მურღუევი, 19

კახეთი
ლელა არაბული, 37
შოთიკო სიბოშვილი, 19
ირაკლი ბეშკენაძე, 22
ალექსი ჯაჭვაძე, 19

გურია
გიორგი ბლაგიძე, 22

იმერეთი
საშიკო ხიჯაკაძე, 31
ბერიკა გონგაძე, 23
ალექსანდრე ჯანგავაძე, 21

ქვემო ქართლი
ილია მანთაშაშვილი, 19
ვალერი მიშელაძე, 19
ნიკა იასაღაშვილი, 18

თბილისი
ზურა ჩიჩუა, 25
სანდრო დიდებაშვილი, 26
დემეტრე ერგემლიძე, 32
ნანა მაჭარაშვილი, 26

SWISS MASTERCLASSES

In order to support SASC's educational process Swiss experts have been engaged actively. The "knowledge transfer" team conducted frequent on site visits, to monitor the progress, oversee the execution of the long term courses, establish the guidance and standards for conducting short-term courses. Further, to establish the practical trainings according to Swiss standards, in cooperation with Georgian teachers Swiss experts conducted sample practical Masterclasses for SASC's long and short term students.

Animal health
Rolf Hanimann

Several sessions in animal welfare / handling, pasture planning, milking hygiene
Carl Brandenburger

Milking hygiene
Daniel Fehlman

Pasture Management
Thomas Lussi

Cheese production
Stefan Blessi

The engagement of Swiss experts is financed by Swiss Agency for Development and Cooperation (SDC) and supported by United Nations Development Program (UNDP)

შვეიცარიული მასტერკლასები

კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ჩვენი შვეიცარიელი პარტნიორები. შვეიცარიელ ექსპერტთა ჯგუფები რეგულარულად სტუმრობენ კოლეჯს, რათა მონიტორინგი გაუწიონ გრძელვადიანი პროგრამების განხორციელების პროცესს და განავითარონ სახელმძღვანელო სტანდარტები მოკლევადიანი კურსების ჩასატარებლად. გარდა ამისა, იმისათვის, რომ პრაქტიკული ტრენინგები შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდეს, შვეიცარიელ ექსპერტთა ჯგუფი რეგულარულად ატარებს მასტერკლასებს როგორც კოლეჯის სტუდენტებისთვის, ისე მოკლევადიანი ტრენინგების მონაწილეთათვის. ამ ტრენინგებში აქტიურად არიან ჩართულნი ქართველი მაღალკვალიფიციური ტრენერებიც - ჩვენი კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები.

ცხოველთა ჯანმრთელობა
როლფ ჰანიმანი

ტრენინგები ცხოველთა კეთილდღეობის, საძოვრების დაგეგმვის, რძის ჰიგიენის შესახებ
კარლ ბრანდენბურგერი

რძის ჰიგიენა
დანიელ ფელმანი

საძოვრების მართვა
თომას ლუსი

ყველის წარმოება
შტეფან ბლესი

შვეიცარიელი ექსპერტების ჩართულობა ფინანსდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

OUTSIDE PRAXIS

The students have spent one week in the partner farms / cheese factories.

The selection and evaluation of practice farms has started since 2019. Four best farms/dairies have been selected. The memorandum of cooperation has been signed with each of the farm, in scope of this memorandum the in-company trainers attended 2-day training at SASC in June 2022, and received the students for practice weeks in the same month.

In order to evaluate the quality of trainings, the students were required to submit the notes regarding their practical work.

The collage plans to further broaden the list of partner practice farms. The students attending 2-year VET program at SASC will spend in total of 5 weeks in outside companies.

გარე პრაქტიკა

სტუდენტებმა ერთკვირიანი პრაქტიკული კურსი გაიარეს პარტნიორ ფერმებსა და ყველის საწარმოებში.

პრაქტიკის საწარმოების შერჩევა და მათი ევალუირება 2019 წლიდან დაიწყო. შეირჩა ოთხი საუკეთესო ფერმა და რძის საწარმო. მათთან გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც საწარმოს წარმომადგენლებმა 2022 წლის ივნისში გაიარეს ორდღიანი მოსამზადებელი ტრენინგები ქართველი და შვეიცარიელი ტრენერების მონაწილეობით და იმავე თვეში მიიღეს ჩვენი სტუდენტები პრაქტიკული კურსის განსახორციელებლად.

ტრენინგების ხარისხის შესაფასებლად, სტუდენტები ყოველდღიურად აკეთებდნენ შესრულებული სამუშაოს შესახებ ჩანაწერებს, ხოლო კურსის დასასრულს შემაჯამებელი ანგარიში წარმოადგინეს.

კოლეჯი გეგმავს პარტნიორი პრაქტიკის საწარმოების სიის კიდევ უფრო გაფართოებას. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ გრძელვადიან სასწავლო პროგრამებზე, საერთო ჯამში 5 კვირას გაატარებენ გარე საწარმოებში.

EXCHANGE PROGRAM IN SWITZERLAND

With support of SDC and UNDP, SASC students accompanied by the educational manager, Sophio Aslanishvili, visited Switzerland for two-week intensive exchange in September 2022.

WEEK 1 - INTRODUCTION OF SWISS AGRICULTURAL SYSTEM ON THE EXAMPLE OF PLANTAHOF

The students visited the farms and dairies operated by Plantahof, attend the trainings at the school, as well as visit establishments that play a major role in the agricultural system in Switzerland, such as bull market, large scale farms, etc.

WEEK 2 - PRACTICAL WEEK AT SWISS FARMS/DAIRIES

The students were placed into the volunteer families to work at their farms/dairies during one week.

გაცვლითი პროგრამა შვეიცარიაში

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 2022 წლის სექტემბერში SASC-ის სტუდენტები, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერის - სოფიო ასლანიშვილის თანხლებით, იმყოფებოდნენ შვეიცარიაში, ორკვირიანი ინტენსიური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში

კვირა 1 - შვეიცარიის სასოფლო-სამეურნეო სისტემის გაცნობა პლანტაჰოფის მაგალითზე.

სტუდენტებმა მოინახულეს პლანტაჰოფის მართვის ქვეშ არსებული ფერმები და რძის საწარმოები, დაესწრნენ ტრენინგებს სკოლაში, ასევე მოინახულეს ის საწარმოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შვეიცარიის სასოფლო-სამეურნეო სისტემის განვითარებაში: ხარების ბაზარი, მულტიფუნქციური, მასშტაბური ფერმები და ა.შ.

კვირა2 - პრაქტიკის კვირა შვეიცარიის ფერმებში/რძის საწარმოებში

სტუდენტები მოხალისეთა ოჯახებში განთავსდნენ და ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ასრულებდნენ ტიპურ სამუშაოებს მასპინძელი ოჯახების ფერმებსა და საწარმოებში.

LIFE IN SASC

Apart from educational and residential infrastructure, the college has all the amenities for student life. Students have a lounge area, board games, musical instruments. SASC promotes various cultural events in the college, a sports club is also created, students often organize themed cooking evenings, film screenings, they organized a small vegetable garden on their own initiative, tidy up the college area and take care of the environment and colleagues.

სტუდენტური ცხოვრება კოლეჯში

გარდა საგანმანათლებლო და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურისა, კოლეჯს აქვს მულტიფუნქციური გარემო სტუდენტთა სპორტული და შემოქმედებითი ცხოვრებისთვის. ამ მიზნით, გამოყოფილია სივრცე დასვენებისთვის, სპორტული აქტივობებისთვის და სამაგიდო თამაშებისათვის. გვაქვს მუსიკალური ინსტრუმენტების ფართო არჩევანიც

კოლეჯში შეიქმნა სპორტული კლუბი, ტარდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სტუდენტები ხშირად აწყობენ თემატურ კულინარიულ საღამოებს, ფილმების ჩვენებას, საკუთარი ინიციატივით მოაწყვეს პატარა ბოსტანი, აწესრიგებენ კოლეჯის ტერიტორიას, უფრთხილდებიან გარემოს და ზრუნავენ ერთმანეთზე.

SHORT-TERM TRAININGS

STUDENT FIELD PRACTICE

SASC has hosted two field practice sessions within the framework of the SQIL (Safety and Quality Investment in Livestock) project. In total 22 students from 5 different universities and vocational schools participated in the field practice, that included practical training in milking hygiene, animal health, pasture management, forage production, agricultural mechanization, production standards in dairy processing, etc.

მოკლევადიანი ტრენინგები

სტუდენტთა საველე პრაქტიკა

SQIL (Safety and Quality Investment in Livestock) პროექტის ფარგლებში, კოლეჯში სტუდენტების ორმა ჯგუფმა გაიარა პრაქტიკული კურსი. საერთო ჯამში, 5 სხვადასხვა უნივერსიტეტისა და პროფესიული სასწავლებლის 22 სტუდენტი მონაწილეობდა პრაქტიკულ სწავლებაში, რომელიც მოიცავდა: რძის ჰიგიენას, ცხოველთა ჯანმრთელობას, საძოვრების მართვას, საკვებწარმოებას, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციას, თანამედროვე სტანდარტებს რძის პროდუქტების წარმოებაში და ა.შ.

FARMERS' TRAINING IN FORAGE PRODUCTION

SASC conducted a 5-day training for beneficiaries of Georgian Farmers' Association in pasture management and forage conservation.

ფერმერთა ტრენინგი საკვებწარმოებაში

ფერმერთა ასოციაციის დაკვეთით, კოლეჯმა წალკის ფერმერებს საძოვრების მართვასა და საკვების კონსერვირებაში ხუთდღიანი ტრენინგი ჩაუტარდა.

FOOD SAFETY SPECIALIST IN DAIRY INDUSTRY

SASC obtained the right to implement vocational training program – food safety specialist in dairy industry. The program was created in collaboration with the experienced team of specialists in this field.

VETERINARY-TECHNICAL SERVICE AND TRAININGS

The collage offers veterinary-technical service for the farmers from neighboring villages. The services include:

- ARTIFICIAL INSEMINATION
- BREED SELECTION AND ADVISORY
- TREATMENT OF HOOVES
- TREATMENT OF HORNS
- CASTRATION

In order to increase the awareness about the benefits of artificial insemination, SASC conducted presentations/trainings at the school farm, as well as in the villages.

სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში

კოლეჯმა მოიპოვა პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება: ,,სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში''. პროგრამა შეიქმნა დარგის გამოცდილი სპეციალისტების გუნდთან თანამშრომლობით.

ვეტერინარულ-ტექნიკური მომსახურება და ტრენინგები

კოლეჯი მეზობელი სოფლების ფერმერებს ვეტერინარულ-ტექნიკურ მომსახურებას სთავაზობს. მომსახურებაში შედის:

- ხელოვნური განაყოფიერება
- ჯიშების შერჩევა და კონსულტირება
- ჩლიქების დამუშავება
- რქების მოვლა
- სტერილიზაცია

ხელოვნური განაყოფიერების სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კოლეჯმა ჩაატარა პრეზენტაციები და ტრენინგები როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე სოფლებშიც.

PROGRAM FOR IMPROVING MILK QUALITY IN LOCAL FARMS

Based on the evaluation check-list elaborated by Swiss specialists, SASC selected pilot farms for the program. The selected farms signed MoU with SASC, received individual advisory and training about milking process and milking hygiene. SASC has also provided the farms with the necessary tools and materials for hygienic milking. Regional Development programs are financed by SDC and supported by UNDP.

ადგილობრივ მეურნეობებში რძის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა

შვეიცარიელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული შეფასების ჩეკლისტებზე დაყრდნობით, შვეიცარიულმა აგრარულმა სკოლა კავკასიამ შეარჩია საპილოტე ფერმები პროგრამის განსახორციელებლად. შერჩეულ ფერმებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, ფერმერებმა მიიღეს ინდივიდუალური კონსულტაციები რძის გადამუშავებისა და რძის ჰიგიენის მიმართულებით. კოლეჯმა ფერმერებს გადასცა რძის ჰიგიენური წარმოებისთვის საჭირო ინვენტარი და მასალები. რეგიონალური განვითარების პროგრამები ფინანსდება SDC-ის მიერ UNDP-ის მხარდაჭერით.

EDUCATIONAL EXCURSIONS AND OTHER EVENTS

SCHOOL EXCURSIONS

SASC hosted several school excursions from neighboring regions. App. 150 pupils aged 14-18 visited the farm and dairy and got introduced to the modern farming approaches and food safety standards established at SASC facilities.

საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვა ღონისძიებები

სასკოლო ექსკურსიები

კოლეჯმა მეზობელი რეგიონებიდან 150-მდე უფროსკლასელს უმასპინძლა სასკოლო ექსკურსიებზე. მოსწავლეებმა დაათვალიერეს სტუდენტების სასწავლო და დასასვენებელი სივრცეები, შვეიცარიული ფერმა და რძის ქარხანა. გაეცნენ SASC-ის ობიექტებში დანერგილ სურსათის უვნებლობის სტანდარტებს, თანამედროვე მიდგომებს ფერმერობასა და საკვებწარმოებაში.

FARMER VISITS

During 2022, app. 100 farmers visited SASC's farm, in order to receive information about the Swiss farming standards. The farmers had possibility to discuss their issues and questions with SASC's farm manager individually.

ფერმერთა საინფორმაციო ვიზიტები

2022 წლის განმავლობაში, კოლეჯს დაახლოებით 100 ფერმერი ეწვია ფერმერობის შვეიცარიული სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ფერმერებს საშუალება ჰქონდათ, ინდივიდუალურად განეხილათ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები SASC-ის ფერმის მენეჯერთან.

BOOK PRESENTATION

Presentation of the educational book – "technology of production of lactic acid products", written within the framework of SQIL project.

წიგნის პრეზენტაცია

SQIL პროექტის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო წიგნის – ,,რძემჟავა პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია'' პრეზენტაცია.

ONLINE LEARNING OPPORTUNITIES

With financial support from UNDP SASC purchased livestreaming equipment to create sustainable mechanisms for the distant learning. A Swiss company – OnAir AG, a full-service provider in the field of live streaming and production of image films supplied the necessary equipment and trained the local staff.

The school filmed two online lessons: udder diseases and diagnostics (1), milking, hygiene of milking, examination for mastitis (2). The video lessons were posted on SASC's Facebook page and YouTube channel, where more than 1,200 people watched them.

ონლაინ სწავლის შესაძლებლობები

დისტანციური სწავლების მდგრადი მექანიზმების შექმნის უზრუნველსაყოფად, UNDP-ის ფინანსური მხარდაჭერით, კოლეჯმა შეიძინა პირდაპირი ტრანსლაციის მოწყობილობა.

სათანადო აღჭურვილობა მოგვაწოდა და ადგილობრივი პერსონალი გადაამზადა შვეიცარიულმა კომპანიამ - OnAir AG.

სკოლამ უკვე გადაიღო ორი ონლაინ გაკვეთილი: ცურის დაავადებები და დიაგნოსტიკა (1) და რძის ჰიგიენა, მასტიტის გამოკვლევა (2). ვიდეო გაკვეთილები აიტვირთა SASC-ის ფეისბუქ-გვერდსა და YouTube არხზე, სადაც მათ 1200-ზე მეტი მაყურებელი ჰყავდა.

TEACHERS' TRAINING

SASC has organized a 3-day teachers' workshop in teaching methodology. The workshop was led by Prof. Robert Lehman from HAFL (School of Agricultural, Forest and Food Sciences) together with "knowledge transfer" team. It was the second workshop of this kind with the goals to:

To introduce new teachers to the principles of practice-oriented teaching according to the Swiss standard

Review and discussion of experiences, successes and challenges of the first academic year

Acquaintance and appreciation of effective teaching methods

Discussing and improving the possibilities of effective practical exercises; Development of concrete examples

Improving the methodology of written and practical exams focused on checking competencies

Planning lessons using opportunities to collaborate with the farm and cheese factory

მასწავლებელთა ტრენინგი

კოლეჯმა ორგანიზება გაუწია პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამდღიან ტრეინინგს სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში. სემინარს უძღვებოდა HAFL-ის (სოფლის მეურნეობის, ტყის და კვების მეცნიერებათა სკოლა) წარმომადგენელი, პროფესორი რობერტ ლემანი ,,ცოდნის ტრანსფერის'' გუნდთან ერთად. ტრენინგი, რომელიც წელს მეორედ ჩატარდა, მიზნად ისახავდა:

ახალი მასწავლებლებისათვის შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისი, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების გაცნობას

პირველი სასწავლო წლის გამოცდილების, წარმატებებისა და გამოწვევების განხილვასა და შეჯამებას

ეფექტური სწავლების მეთოდების გაცნობასა და შეფასებას

ეფექტური პრაქტიკული სავარჯიშოების განხილვას, კონკრეტული მაგალითების შემუშავებას

წერითი და პრაქტიკული გამოცდების მეთოდოლოგიის დახვეწას

სწავლების დაგეგმვა ფერმასა და ყველის ქარხანასთან მჭიდრო თანამშრომლობით

FARM

In 2022, the construction works of the Sarkineti farm were completed, the milking hall, the classroom of the farm was organized, the outside area of the building has been arranged

With financial support of Rural Development Agency (RDA) and Land O'Lakes Venture37, SASC has invested in various agricultural machinery and completed whole machinery park for hay production.

In September 2022, SASC took over farming property in neighboring village Gomareti, 2 km away from the school building. The new property consists of various agricultural constructions, with a total space of 6000 m2, including small cattle and livestock farm building, pig farm, storage facilities, etc. The new purchase enables SASC's further expansions plan.

ფერმა

2022 წელს დასრულდა სარკინეთის ფერმის სამშენებლო სამუშაოები, მოეწყო საწველი დარბაზი, ფერმის საკლასო ოთახი, მოწესრიგდა შენობის გარე ტერიტორია.

სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) და Land O'Lakes Venture37-ის ფინანსური მხარდაჭერით, SASC-მა შეიძინა სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და თივის წარმოებისთვის საჭირო მექანიზაციის სრული ხაზი.

2022 წლის სექტემბერში კოლეჯმა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში (2 კმ. არსებული ბაზიდან) შეიძინა დამატებითი შენობა-ნაგებობები. შეძენილი ქონება მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობებს, საერთო ფართით - 6000 მ2, მათ შორის: მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფერმები, ღორების ფერმა, სასოფლო-სამეურნეო საწყობები და ა.შ. ეს ახალი ინვესტიცია კოლეჯს სამომავლო განვითარების რეალურ შესაძლებლობებს აძლევს.

CATTLE EXPO 2022

On October 29th SQIL Project hosted Cattle Expo 2022. The expo was organized in partnership with the Georgian Livestock Breeding Association and SASC.

The school participated in the expo with the cattle, as well as operated the sales stand with own dairy products.

SASC's cattle won in two categories: best calf and best heifer. The school also sold a calf on the auction.

მესაქონლეობის ექსპო 2022

29 ოქტომბერს SQIL პროექტმა მესაქონლეობის ექსპო 2022-ს უმასპინძლა. გამოფენა მოეწყო საქართველოს მეცხოველეობის სანაშენე საქმის ასოციაციისა და შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის პარტნიორობით

გამოფენაზე კოლეჯი წარმოდგენილი იყო მსხვილფეხა პირუტყვით და სკოლის ბაზაზე დამზადებული რძის ნაწარმის სტენდით.

ჩვენი კოლეჯის საქონელმა გაიმარჯვა ორ კატეგორიაში: საუკეთესო ხბო და საუკეთესო დეკეული. ღონისძიების ფარგლებში მოწყობილ აუქციონზე გაიყიდა კოლეჯის ხბო.

CHEESE DAIRY

During 2022, the college eliminated all the shortages that existed in the construction part of the cheese factory. With co-funding from Food and Agriculture Organization of UN (FAO) the college arranged additional cheese storage, purchased a distribution vehicle, and added a new yogurt bottling line from Swiss supplier Ingenieurbüro Rhyner. Current assortment includes:

- SEMI-HARD CHEESE AGED FOR 4-6 MONTHS
- SEMI-HARD CHEESE AGED FOR 8-10 MONTHS
- SEMI-HARD WINTER CHEESE
- RACLETTE
- HARD CHEESE, AGED FOR 12 MONTHS
- MUTSCHLI
- CAMEMBERT
- FRESH CHEESE
- YOGURT

SASC started to sell the produce through specialized shops, wine stores, restaurants and retail chains. The school also started to export the cheese to the US.

Since the beginning of sales, the school has participated in many festivals and exhibitions and earned the appreciation of customers. Students are also actively involved in organizing stands at exhibitions.

ყველის წარმოება

2022 წლის განმავლობაში სრულად გაიმართა და მოწესრიგდა ყველის ქარხნის წარმოების ყველა პროცესი: FAO-ს თანადაფინანსებით, კოლეჯმა ააშენა ყველის დამატებითი საცავი, შეიძინა სადისტრიბუციო მანქანა და დაამატა იოგურტის წარმოების ახალი ხაზი შვეიცარიელი მომწოდებლისგან - Ingenieurb□ro Rhyner. ამჟამინდელი ასორტიმენტი მოიცავს:

- ნახევრად მყარი ყველი 4-6 თვის დაძველებით
- ნახევრად მყარი ყველი 8-10 თვის დაძველებით
- ნახევრად მყარი ზამთრის ყველი
- რაკლეტი
- მყარი ყველი, 12 თვიანი დაძველებით
- მუჩლი
- კამემბერი
- ფრეშ- ყველი
- იოგურტი

კოლეჯმა უკვე დაიწყო პროდუქციის გაყიდვა სპეციალიზებულ მაღაზიებში, ღვინის ბარებში, რესტორნებსა და საცალო მარკეტებში. ასევე, განხორციელდა ყველის ექსპორტი აშშ-ში.

გაყიდვების დაწყების დღიდან, სკოლამ მონაწილეობა მიიღო მრავალ ფესტივალსა და გამოფენაში, სადაც მომხმარებელთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესში და თავად წარუდგენენ მომხმარებელს ჩვენი კოლეჯის პროდუქციას.

Plantahof

CONCEPTUAL PARTNER

In June 2022, SASC established MoU with Plantahof declaring the bilateral willingness to cooperate in the following fields:

- EXCHANGE AND TRANSFER OF KNOWLEDGE
- GIVING ACCESS TO TEACHING MATERIALS, WORKSHEETS, CONTENTS
- TRAINING THE TEACHERS, AS WELL AS EXCHANGING EXPERIENCE
- GIVING ACCESS TO USE THE SCHOOL INFRASTRUCTURE IN SWITZERLAND FOR TOT

კონცეპტუალური პარტნიორი

2022 წლის ივნისში შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიასა და პლანტაჰოფს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, შემდეგი მიმართულებებით:

- ცოდნის გაცვლა და ტრანსფერი
- სასწავლო და სამუშაო მასალებზე წვდომა
- მასწავლებლების გადამზადება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება
- პლანტაჰოფის ინფრასტრუქტურაზე წვდომა ქართველ მასწავლებელთა გადამზადებისთვის

INITIATOR & DONOR
ინიციატორი & დონორი

WISSENSCHAFT. BEWEGEN
GEBERT RÜF STIFTUNG

DONORS | დონორები

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

bärbel & paul | geissbühler stiftung

FONDATION DES FONDATEURS

Verein zur Förderung der Swiss Agricultural School Caucasus

UNDP

IFAD

LAND O'LAKES VENTURE 37

BRAUNVIEH

swissgenetics

Food and Agriculture Organization of the United Nations

Georgian Farmers' Association

სოფლის განვითარების სააგენტო

MEDIA PRESENCE

Georgian and Swiss media actively cover the development of the college.

Various Georgian channels prepared stories about the life of students in the college, learning process and future plans.

RTR Telesguard produced several stories about SASC, including one in primetime on August 1st in a program dedicated to Swiss Independence Day. A number of articles and stories were also devoted to the students' trip to Switzerland

მედია

ქართული და შვეიცარიული მედია აქტიურად აშუქებს კოლეჯის საქმიანობას.

უკვე რამდენიმე ქართულმა სატელევიზო არხმა მოამზადა სიუჟეტი კოლეჯში სტუდენტების ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და ჩვენი სამომავლო გეგმების შესახებ.

ასევე, შვეიცარიულმა მაუწყებელმა - RTR Telesguard-მა მოამზადა რამდენიმე სიუჟეტი კოლეჯის შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი პრაიმტაიმში - 1 აგვისტოს, შვეიცარიის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გადაცემაში გავიდა. ასევე, მრავალი სტატია მიეძღვნა ჩვენი სტუდენტების მოგზაურობას შვეიცარიაში.

FUTURE PLANS

SECOND TRAINING FARM IN GOMARETI

SASC is planning to set-up a second training farm in the newly purchased premises in Gomareti, to create additional practical facilities for long and short-term students.

It is also planned to organize a mechanization workshop in Gomareti farm to conduct practical trainings for Agricultural Mechanization module.

TEACHERS' HOUSE

In order to ensure long-term visits of teachers, it is planned to build additional teachers' house, with accommodation capacity of 12 persons.

The sketches of the teachers' house and the trainign center were prepared as a gift to the college by the Swiss architect Thomas Krayer.

სამომავლო გეგმები

მეორე პრაქტიკული საწარმოს მოწყობა გომარეთში

კოლეჯი გეგმავს გომარეთის ახლადშეძენილ ტერიტორიაზე დამატებითი პრაქტიკული საწარმოს, ფერმის მოწყობას, რომელიც როგორც მოკლე ასევე გრძელვადიან სტუდენტებს მოემსახურება.

ასევე იგეგმება სპეციალური სივრცის მოწყობა მექანიზაციის მოდულის პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

მასწავლებელთა სახლი

მასწავლებლების გრძელვადიანი ვიზიტების უზრუნველსაყოფათ იგეგმება დამატებით 12 ადამიანზე გათვლილი მასწავლებელთა სახლის მშენებლობა.

მასწავლებელთა სახლისა და ტრენინგ-ცენტრის პირველადი სკეჩები კოლეჯს საჩუქრად გადასცა შვეიცარიელმა არქიტექტორმა - ტომას კრაიერმა

START-UP INCUBATOR

For the sustainable impact of our activities, it is vital to support SASC graduates. A small number of graduates allows us an individual approach.
The curriculum for second-year students includes an entrepreneurship module, within the framework of which each student prepares a business plan for their own enterprise. The plans are being prepared with the active support and coaching of the college administration. SASC plans to support the graduates through financial and professional advisory, additional subject-specific trainings and through arranging "test production facilities" at the school base for selected projects.

SHORT TRAININGS IN AGRICULTURE

In partnership with the USAID Industry-led Skills Development, SASC aims to create opportunities for rural farmers and dairy processors to improve their employment and productivity by giving access to high-quality, practical skills programs in agriculture. To achieve this objective, a new training center will be established in Sarkineti. SASC will replicate six training programs from the most prominent Swiss Agriculture institution - Plantahof's educational offer.

- ANIMAL HUSBANDRY
- DAIRY PROCESSING
- FEEDING OF FARM ANIMALS
- ANIMAL HEALTH
- CROP PRODUCTION AND AGRICULTURAL MECHANIZATION
- PASTURE MANAGEMENT AND FORAGE CONSERVATION

სტარტაპ ინკუბატორი

ჩვენი აქტივობების მდგრადი ეფექტის მისაღწევად, აუცილებელია კოლეჯის კურსდამთავრებულების მხარდაჭერა. მცირე რაოდენობის კურსდამთავრებულები ინდივიდუალური მიდგომის საშუალებას იძლევა.
მეორე სასწავლო წლის კურიკულუმი მოიცავს მეწარმეობის მოდულს, რომლის ფარგლებშიც თითოეული სტუდენტი ამზადებს საკუთარი საწარმოე ბიზნეს გეგმას. გეგმების მომზადების პროცესში აქტიურად არის ჩართული კოლეჯის ადმინისტრაციაც. კოლეჯი გეგმავს დაეხმაროს კურსდამთავრებულებს ფინანსური და პროფესიული კონსულტაციებით, დამატებითი ტრენინგებით სპეციფიურ თემებზე და ასევე შერჩეული პროექტებისთვის ,,სატესტო საწარმოების'' მოწყობით კოლეჯის ბაზაზე.

მოკლევაიდანი ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

USAID-ის პროგრამასთან - დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის - პარტნიორობით კოლეჯი მიზნად ისახავს, ფერმერებისა და რძის გადამამუშავებლებისთვის პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობების შექმნას. ამ მიზნით კოლეჯი აპირებს ახალი ტრენინგ-ცენტრის დაფუძნებას. პროგრამის ფარგლებში იგეგმება ცნობილი შვეიცარიული პროფესიული კოლეჯის - პლანტაჰოფის არსებული სასწავლო პროგრამებიდან 6 ტრენინგის რეპლიკაცია:

- მეცხოველეობა
- რძის გადამუშავება
- ცხოველთა კვება
- ცხოველთა ჯანმრთელობა
- მემცენარეობა და აგრომექანიზაცია
- საძოვრების მართვა და საკვების კონსერვაცია

SOS@SASC

As part of its social responsibility policy, SASC strives to go beyond educational activities and introduce services that also serve the immediate needs of local population. With support of "Fondation des Fondateurs" SASC aims to establish first aid station and rescue services in Sarkineti. The goal of the project is to ensure that the local population is provided with emergency rescue and patient transport services that meet their needs at socially acceptable user fees.

SOS@SASC

კოლეჯის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში, კოლეჯი ცდილობს გასცდეს საგანმანათლებლო საქმიანობას და ადგილობრივ მოსახლეობას შეთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები. კერძო შვეიცარიული ფონდის "Fondation des Fondateurs" მხარდაჭერით, კოლეჯი სარკინეთში პირველადი დახმარების სადგურის მოწყობას გეგმავს. პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის პირველადი სასწრაფო დახმარების აღმოჩენასა და პაციენტის გადაყვანის უზრუნველყოფას უახლოეს სამედიცინო პუნქტში.

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

2022
Rustaveli ave, 52, Tbilisi, Georgia / Dmanisi
Municipality, village Sarkineti
www.sasc.ge